

„თეილიმპროგრესიზმი უკეთესი წამაღია საღისის ყოველგვარის საჭიროების...
სადა უნდა დასწავლი, იგი ყველგან სწავლობს... ყოველი
სახელმწიფო, რამდენს ჩრხსოვ ცოცხათ თუ ზეპირად
ვაძვავანი, ნაწილ-ნაწილად ანბ
დაყოფილი, ბიძ მოიქცა და
მეწინააღმდეგე აღვიდათ თის.“

ხობის მოამბე

№5-6 (7075)
8 მარტი,
ხუთშაბათი, 2012 წელი.
შპს 1 ლარი.

გაზაფხულის დღესასწაულებს გილოცავთ, ძვირფასო ქალებო!

საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიშიდან (აქონარიღები) * * *



მზად ვართ, უფრო დიდი შანსი მივცეთ მშვიდობას და გამოვდივართ ინიციატივით, რომ ცალმხრივად გავაუქმეთ სავიზო რეჟიმი რუსეთთან-დაე, ყველა რუსმა ბიზნესმენმა იცოდეს, რომ საქართველო ისეთივე მიმზიდველი საინვესტიციო ქვეყანაა მისთვის, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქისთვის, კორუფციის, უკანონობისა და ბიუროკრატიული წნებისაგან თავისუფალი; დაე, იცოდნენ რუსმა ტურისტებმა, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჩამოსვლა საქართველოში და აქ მათ ქართველებისთვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით დახვდება ყველა; იცოდნენ, რომ მათ აქ არავინ დაუშლის მონატრებული ქართული ღვინისა და ბორჯომის დაღვევას.

* * *

* * *

დღეს მინდა ახალი ინიციატივაც გაგაცნოთ: 2013 წლის 1 იანვრიდან თითოეული ოჯახი ყოველ მესამე ახალშობილ ბავშვზე ერთჯერადი დახმარების სახით 1000 ლარს, ხოლო ყოველ მეოთხე და შემდეგი ბავშვის დაბადებაზე 2000 ლარს მიიღებს. ასევე 2013 წლის 1 იანვრიდან დამატებით დავაზღვევთ ყველა იმ ბავშვსა და 18 წლამდე ახალგაზრდას, რომელიც მრავალშვილიან ოჯახში იზრდება. ეს იმ ოჯახებს შეეხება, რომელშიც 4 და მეტი ბავშვი იზრდება.

ჩვენ გააკეთეთ ყველაფერი, რათა დაპირებულ 100 დოლარიან საპენსიო პაკეტში შეგვეტანა ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ჯანმრთელობის დაზღვევის სახით. შედეგად, სექტემბრიდან ყველა ასაკით პენსიონერის ჯანმრთელობა დაზღვეული იქნება.

ჩვენ ვიმკვიდრებთ ადგილს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაშიც-ჩვენ ერთად ვაშენებთ საქართველოს, რომელიც გვინდა იყოს განვითარების მოდელი, გვინდა იყოს რეგიონში ყველაზე განსწილი ეკონომიკა ყველაზე დაბალი ვადასახადებით, ყველაზე ხელსაყრელი ბიზნესგარემო, ყველაზე სუფთა კორუფციისა და კრიმინალისგან, ყველაზე თავისუფალი ბიუროკრატიული წნებისგან. ეს არის ჩვენი დიდი მიზანი და ამ მიზნის განხორციელება სულ მალე გადაქცევა ჩვენს ქვეყანას მთელი რეგიონის ეკონომიკურ კვანძად.

თუ ადრე პენსიონერი მხოლოდ ჯანდაცვის პროგრამების შეზღუდული სერვისებით სარგებლობდა-მაგალითად, ქიმიოთერაპიის საჭიროების შემთხვევაში პროგრამა 500 ლარზე მეტს არ უთვლიდა-სადაზღვევო პაკეტით, დაზღვევის ლიმიტი მას 12 ათას ლარამდე გაეზრდა.

3 >>>>>>

კ ა ლ ე რ ი ბ ი

სოხის მუნიციპალიტეტის გააგავლის გეგმით ანგობს სოფლამდებელთა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

ანატოლ სიჭინავა დაიბადა 1949 წლის 22 თებერვალს, სოფელ საჯიჯაოში. დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი სპეციალობით სწავლული აგრონომი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: საჯიჯაოს კოლმეურნეობის აგრონომ-მელიორატორად, შემდეგ აგრონომად, 1989-1991 წლებში იყო ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე.

1991-1992 წწ - რ.ს.გ. „საქრბე“ ხობის რბის ქარხნის დირექტორი.

1992-1996 წწ - საჯიჯაოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

2006-2007 წწ - შ.პ.ს. „ხეთის დაფნა და ციტრუსის“ წარმოების უფროსი.

სი.
2007 - 2010 წწ - შ.პ.ს. „მავი ზღვის ტერმინალი“ სამეურნეო სამსახურის უფროსი.

2011 წ.-ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

2012 წლის თებერვლიდან დაინიშნა ხობის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსად.

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი.



სოხის მუნიციპალიტეტის გააგავლის გეგმით ანგობს სოფლამდებელთა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

ლევან სიჭინავა დაიბადა 1984 წლის 18 აგვისტოს სოფელ საჯიჯაოში. დაამთავრა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არის სამართალმცოდნე.

2007-2011 წწ იყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი-ურისტი.

2011 წ.-ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

2012 წლის თებერვლიდან დაინიშნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად.

ჰყავს მეუღლე და შვილი.



ინტერვიუ

„ჩვენმა ხელისუფლებამ დღევანდელი საქართველოს სახით შექმნა თვისობრივად ახალი სახელმწიფო“

ბობა ღურუკაია-ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობელი

4 >>>>>>



პირველკლასელების სკოლებში რეგისტრაცია პირველი აკრილიდან დაიწყება

მიმდინარე წელს პირველკლასელების სკოლებში რეგისტრაცია ინტერნეტით მოხდება. ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშინიძე განაცხადა. მინისტრის განაცხადებით, ყველა პირველკლასელი ბავშვის მშობელს საშუალება ექნება, შეილი სახლიდან გაუსვლელად, სასურველ სკოლაში ინტერნეტის საშუალებით დაარეგისტრიროს.
1-დან 15 აპრილამდე პირველკლასელების ინტერნეტრეგისტრაცია იმ სკოლებში იქნება შესაძლებელი, სადაც მათი დედამამშვილები სწავლობენ ან მშობლები მუშაობენ.
სხვა დანარჩენი ბავშვების ონლაინ რეგისტრაცია 15 აპრილიდან ივნისამდე იქნება შესაძლებელი.

დარიგებულია 145 ათასი ელექტროვაჭერი

საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით დარიგებულია 145 ათასი ელექტროვაჭერი, რაც სრული რაოდენობის 12 პროცენტს შეადგენს. ელექტროვაჭერების გადაცემა პრეზიდენტის აქტიური კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გაუსვას იმას, რომ ეს არის საქართველოს მთავრობის დახმარება, რომელიც ამ მიმეუ ზამთრის დროს ათასობით ოჯახს შეუმსუბუქებს იმ მიმეუ საგადასახადო ტვირთს, რომელიც ცივმა ზამთარმა განაპირობა.
ვაუჩერების დარიგება 31 მარტამდე უნდა დასრულდეს.

სოხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში „ოკუპაციის კვირეული“ აღინიშნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველწლიურად ახორციელებს XX-XXI საუკუნეებში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს მიძღვნილ დონისიბეებს. 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებასთან დაკავშირებით, „ოკუპაციის კვირეული“ ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში გაიმართა სხვადასხვა თემატური კონკურსი, მოეწყო ლექცია-სემინარები.
„კვირეული“ მიზნად ისახავდა, მოსწავლეებს სრული და სწორი ინფორმაცია მიეღოთ რუსულ აგრესიაზე და გაეთავისებინათ ის ტყვიანი, რასაც ოკუპაცია ჰქვია.

მოსაკრებლის გადასახადი უათანხებია უსაქიანო

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლების გადახდის თაობაზე შეთანხმების დადება შესაძლებელია.

ამასთან დაკავშირებით ცვლილება „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლების შესახებ კანონში“ პარლამენტმა მესამე მოსმენით შეიტანა.

მიღებული გადაწყვეტილებით, შემოღებულია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლების გადახდის თაობაზე შეთანხმების დადება. შეთანხმება მოსაკრებლის გადახდაზე პასუხისმგებელ პირსა და ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შორის დაიდება.

აღნიშნული შეთანხმებით შესაძლებელი იქნება პასუხისმგებელი პირის მიერ განცხადების შეტანის მომენტისთვის გადასახდელი მოსაკრებლების ოდენობის განსაზღვრა, შემცირება ან/და მისი გადახდის გადავადება მთლიანად ან ნაწილობრივ. ასევე, შესაძლებელი იქნება გადასახდელის სხვა ვალდებულებით ჩანაცვლება.

ამას გარდა, შეთანხმების საგანი შეიძლება იყოს მომავალ პერიოდში გადასახდელი მოსაკრებლების ოდენობის განსაზღვრა, მისი გადახდის ვადის განსაზღვრა მთლიანად ან ნაწილობრივ, ასევე, გადავადება ან/და სხვა ვალდებულებით ჩანაცვლება.

შეთანხმების დადებისას, მოსაკრებლების გადახდის გადავადება თუ განაწილება არა უმეტეს 3 წლით, წლიური 4% სარგებლით უნდა განხორციელდეს, ხოლო სამ წელზე მეტი ვადით-არანაკლებ წლიური 4%-ით.

შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებელ პირს დაეკისრება გადაუხდელი თანხის 0.5 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე, მაგრამ არა უმეტეს შეთანხმებით გადსახდელად განსაზღვრული მთლიანი თანხის 10 პროცენტისა.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლების გადახდის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული შეთანხმების გასაჩივრება დასაშვებია იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

ამასთან, ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შეეძლება, უარი თქვას შეთანხმების გაფორმებაზე, თუმცა ვალდებული არ იქნება, მისი უარი დაასაბუთოს.

შეთანხმებაზე საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უნდა მიიღოს. მისივე ბრძანებით განსაზღვრება გადასახდელი თანხის ოდენობა, გადახდის ვადა და სარგებლის წლიური განაკვეთის ოდენობა.

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება N43

2012 წლის 7 თებერვალი ქ. სობი
ახალშობილთა ოჯახების ფულადი დახმარების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და სობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 6 თებერვლის N91 წერილის შესაბამისად ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის წინადადება და უმწვეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური პირობებისა და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის საფუძველზე, ახალშობილთა ოჯახების ფულადი დახმარებისთვის სოციალური პაკეტიდან გამოიყოს 2100 (ორათას ასი) ლარი.
2. დაევალოს სობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გ. ლურჯაია) ამ ბრძანების პირველი პუნქტის აღსრულების უზრუნველყოფა დანართის შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, სობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სობი, ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე
გამგებია ჭოსონელიძე

დანართი
სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 7 თებერვლის N43 ბრძანებისა

ფულადი დახმარების მიმღებ ახალშობილთა ოჯახების ნუსხა

№	ახალშობილის გვარი, სახელი	მშობლის გვარი, სახელი	მისამართი	დაბადების თარიღი	თანხა (ლარი-გემში)
1	ზარანდია ანანო	ზარანდია ალუღა	საჯიჯაო	20.12.2011	100
2	მურვანიძე თამუნა	მურვანიძე ნოდარი	პატარა ფოთი	26.12.2011	100
3	ფიფია გეგა	ფიფია ივლიანე	ძველი ხიბულა	02.01.2012	100
4	ქარჩავა ლუკა	ქარჩავა ზურაბი	სობი	08.01.2012	100
5	ქარჩავა ბარბარე	ქარჩავა თრაკლი	ხეთა	03.01.2012	100
6	ნარსია ნიკოლოზი	ნარსია შერმადინი	საჯიჯაო	16.01.2012	100
7	გვაძაბია გიორგი	გვაძაბია ტონი	ჭაღლიდი	06.01.2012	100
8	დოღბაია ნატა	დოღბაია გოდერძი	პირველი ხორვა	01.01.2012	100
9	ჯობაგა რომანოზი	ჯობაგა ბესიკი	სობი	09.01.2012	100
10	ჯანჯღავა ანანო	ჯანჯღავა ხეინა	ახალი ხიბულა	25.05.2011	100
11	პერტაია ნუგზარი	პერტაია ედიშერი	საჯიჯაო	27.07.2011	100
12	გაბუღავა გიორგი	ბესელია თინათინი	ქვემო ქველონი	21.08.2011	100
13	კაციშვილი ნინო	შანიძე იაშვი	ნოჯიხევი	19.01.2012	100
14	გაშვრელიძე გიორგი	სიგუა ვანეტა	დევნილი	16.01.2012	100
15	შირცხულავა ელენე	შირცხულავა ბორისი	შუა ხორვა	29.12.2011	100
16	ჭაავა ვახტანგი	ჭაავა დავითი	სობი	04.01.2012	100
17	ქარცხია თამარი	ქარცხია კორე	ძველი ხიბულა	07.09.2011	100
18	ჭანტურია გოგა	ღურჯია მარინე	ახალი ხიბულა	19.03.2011	100
19	კუბრეიშვილი ირაკლი	კუბრეიშვილი ღათა	ქვემო ქველონი	04.01.2012	100
20	აბურჯანია ნინო	აბურჯანია გიორგი	გურიფული	09.01.2012	100
21	ბერანძე ანდრია	ბერანძე ბუკა	ქვემო ქველონი	18.11.2011	100
ჯ ა შ ი					2 100

საკრებულოს თავმჯდომარე
გამგებია ჭოსონელიძე

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება N54

2012 წლის 21 თებერვალი ქ. სობი
უმწვეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების საოპერაციო თანხების დაფინანსების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და სობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 13 თებერვლის N122 წერილის შესაბამისად ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს უმწვეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების კომისიის წინადადება და გამგეობაში შემოსული მოქალაქეების განცხადებების საფუძველზე, მათი საოპერაციო თანხების დაფინანსების მიზნით სოციალური პაკეტიდან გამოიყოს თანხა 6380 (ექვსი ათას სამასოთხმოცი) ლარის ოდენობით.
2. დაევალოს სობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გ. ლურჯაია) ამ ბრძანების პირველი პუნქტის აღსრულების უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თანხმად დანართისა.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, სობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. სობი, ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე
გამგებია ჭოსონელიძე

დანართი
სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 21 თებერვლის N54 ბრძანებისა

№	გვარი, სახელი	მისამართი	სამედიცინო დიაგნოსტიკა	თანხა (ლარი-გემში)
1	თურქია-თეთრაძე მადლენა	ზემო ქველონი	ქ. სენაია შპს „სენა-მედის“ სამშობიარო სახლი	320
2	ზარანდია ნოდარი	საჯიჯაო	ქუთაისის საეკლესიო საავადმყოფო „წმინდა დავით აღმაშენებლის სახ. ქსენონი“	800
3	აკვიკინია ქეთო	პირველი მაისი	ქ. თბილისი შპს „ნიუ პოსტიტალი“	700
4	შანავა ბანუკი	ქვემო ქველონი	ქუთაისის საეკლესიო საავადმყოფო „წმინდა დავით აღმაშენებლის სახ. ქსენონი“	400
5	ჯიშკარიანი ბადრი	სობი	ქ. თბილისი შპს „ნინუების თვალის კლინიკა“ „მეკრა“	1050
6	ნარსია ანრი	სობი	ქ. ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკა“	400
7	პერტაია სერგო	პირველი მაისი	შპს „სობის რაიონული ცენტრალური საავადმყოფო“	410
8	ფაფია თეა	ნოჯიხევი	ქ. სენაია შპს „სენა-მედის“ სამშობიარო სახლი	300
9	თოდუა მურმანი	ბია	ქუთაისის საეკლესიო საავადმყოფო	2000
ჯ ა შ ი				6 380

საკრებულოს თავმჯდომარე
გამგებია ჭოსონელიძე

ქონების კრივიზიზების ნესი შეიხვალა

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მფლობელის ფორმით პრივატიზებისას, მფლობელის მიერ საფასურის გადახდის ვადის განსაზღვრისას, პრეზიდენტი შეზღუდული აღარ იქნება.

ამასთან დაკავშირებით ცვლილება პარლამენტმა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონში შეიტანა კანონის აქამდე მოქმედი რედაქციით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადას პრეზიდენტი ადგენს, თუმცა იმავდროულად კანონში არის დატეხილი, რომ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს.

იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიმართ შესაძლო ზიანის თავიდან აცილებისათვის, სასამართლო ან საარბიტრაჟო სამართალწარმოების თავიდან აცილებისათვის ან/და დასრულებისათვის, საქართველოს პრეზიდენტის მიერ მფლობელისთვის საფასურის გადახდისთვის დაწესებული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

მიღებული გადაწყვეტილებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მფლობელის ფორმით პრივატიზებისას, მფლობელის მიერ საფასურის გადახდის ვადის განსაზღვრა მთლიანად პრეზიდენტზე იქნება დამოკიდებული და ზედა ზღვრით შეზღუდული აღარ იქნება.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული ანტიპროტესტული აქტივობების აღკვეთის მიზნით

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 28 თებერვალს პარლამენტში წლიური ანგარიშით წარსდგა. ქვეყნის პირველმა პირმა 2012 წლის გეგმებზეც ისაუბრა. სიტყვით გამოსვლაში პრეზიდენტმა ავღანეთის მისიაში დაღუპული ქართველი სამხედროების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგო.

მიხეილ სააკაშვილმა არაერთ თემაზე ისაუბრა. მათ შორის — ჯანდაცვის, განათლების, სოფლის მეურნეობის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

პრეზიდენტის შეფასებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის გამოცდაა დემოკრატიისთვის. ქვეყნის პირველი პირის თქმით, ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება პრინციპის საკითხია. მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ არჩევნებისთვის საქართველოში უამრავ

გუებით და არც შევარდულენებთ იმპერიას ჩვენს თავისუფალ არჩევანს... ჩვენ ვაგერძელებთ გზას დასავლეთისკენ, რადგან ეს ეფუძნება ჩვენი ერის ისტორიულ გამოცდილებას, იმ ფართო პოლიტიკურ-საზოგადოებრივ კონსენსუსს, რომელიც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე არსებობს ქვეყანაში. ჩვენ ვაგერძელებთ წინსვლას ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციისკენ, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

სააკაშვილმა ისაუბრა კავკასიაში საქართველოს მნიშვნელობაზე. მისი თქმით, საქართველოში მშვიდობა ვერ იარსებებს კავკასიაში მშვიდობის გარეშე, ამიტომ საქართველო აგრძელებს ურთიერთობებს კავკასიის ქვეყნებთან.

„კავკასიაში საქართველო სახელმწიფოებრივი განვითარების

აღმართის ასაქმებს. 2015 წლამდე კი საქართველოს ხელი-სუფლება უზრუნველყოფს კიდევ 30 ათასი ადამიანის დასაქმებას და შესაბამისად ტურისტების რაოდენობის კიდევ 2 მილიონით გაზრდას, — განაცხადა სააკაშვილმა და შენიშნა, რომ საქართველოში მთავარი პრობლემა არაკვალიფიციურობაა.

„ამიტომ, ქვეყანა ახალი საგანმანათლებლო ცენტრების შექმნას ცდილობს. იხსნება ახალი პროფესიონალები, რომლებშიც 25 ათასი ადამიანი გადამზადდება და აიმაღლებს კვალიფიკაციას, შესაბამისად გაუწევს კონკურენციას უცხოელ მუშახელს არამარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც, — დასძინა სააკაშვილმა.

2015 წლის მოდერნიზაციის გეგ

ქვეყანაში ყოველ მეორე მოქალაქეს ექნება.

„ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი 2012 წლის განმავლობაში ჯანმრთელობის დაზღვევას, დაახლოებით, 2. 500 000 ადამიანი მიიღებს, — აღნიშნა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, შობადობის სტიმულირებისთვის 2013 წლის პირველი იანვრიდან ოჯახი მესამე ბავშვის გაჩენისთვის 1000 ლარს მიიღებს, ყოველი მომდევნო ბავშვისთვის კი 2000 ლარით წახალისდება. ამასთან, პრეზიდენტის თქმით, ოჯახებში, სადაც 4-ზე მეტი ბავშვია, 18 წლამდე ახალგაზრდებს სახელმწიფო დააზღვევს. დააზღვევენ ასევე საქართველოს სკოლის ყველა მოსწავლეს.

მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას 2012 წლის ერთ-ერთ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის განვითარებაც დაა-

თანამედროვე ცოდნას დაეუფლოს, — აღნიშნა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ სოფლის წარმატება საჭიროა არა სტატისტიკისთვის, არამედ ფერმერების უკეთ ცხოვრებისთვის.

„ექსტრაორდინალური სიახლეებით ქვეყნის გაქაჩვა ჩვენი გამოსავლია, — განაცხადა პრეზიდენტმა და ამის მაგალითად მომავლის იუსტიციის სახლი დაასახელა, სადაც „ჯასტ დრაივის“ სერვისი იქმნება.

„მიხვალ მანქანით, გადააწოდებ შენს დოკუმენტს და მოცემენ ისე, რომ მანქანიდანაც არ გადმოხვალ. მხოლოდ გაიღებ და ხელს დაუქნევ. ასევე, იქნება „ჯასტკაფე“ — შეხვალ, შეუკვეთავ ყავას და, მაგალითად, პასპორტს. პასპორტის დირექტორმა შევა ყავის დირექტორად და იმ დროში მოგი-

„არ არსებობს ძალა, რომელიც ამ გზიდან გადაგვასვევინებს“

ვი საერთაშორისო დამკვირვებელი ჩამოვა და როგორც წინასწარჩვენო პერიოდს, ისე კენჭისყრის პროცესს თვალს მიადევნებს. პარლამენტის ტრიბუნაზე საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თავისუფალი არჩევნები ქვეყნის უსაფრთხოებასთანაც არის კავშირში.

„მტერს არ სძინავს და შეეცდება, ეს პროცესი ყველანაირად დაამახინჯოს. რაც უფრო მეტი ობიექტური დამკვირვებელი იქნება, სიმართლე უკეთ იპოვის თავის გზას. პოლიტიკური პროცესების სამართლიანობისთვის უნდა უზრუნველყოთ ფინანსური გამჭვირვალობა, რათა არც ერთი ამომრჩევლისთვის არ იყოს საეჭვო, რა ფული იდება პოლიტიკაში, რა ინტერესებია და ამ ფულის საინცვლოდ ვინ რის მიღებას აპირებს. პოლიტიკა არ არის ყიდვა-გაყიდვა, — შენიშნავს სააკაშვილი და დასძინა, რომ მომავალი საარჩევნო კამპანიის ფარგლებში პოლიტიკური მოთამაშეები ერთმანეთისგან განსხვავებულ ზედებს წარმოადგენენ, თუმცა სამართლიანი თამაშის საერთო წესებზე უნდა შეთანხმდნენ.

სააკაშვილმა მკაფიოდ განაცხადა, რომ უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად ქვეყანამ წინსვლა უნდა ააგრძელოს. პრეზიდენტის თქმით, საქართველოს არც ერთი ქვეყნის მიმართ არა აქვს მტრული განზრახვა და ტერიტორიული პრეტენზია, მაგრამ ვერასდროს იტყვის უარს საკუთარი სუვერენიტეტისა და უფლებების დაცვაზე.

„არასდროს ჩავიშვებლეთ ჩვენი მთლიანობის და დეოკუპაციისთვის ბრძოლაში. არასდროს დავიღვებთ ჩვენი დევნილების ინტერესის დაცვაში, არასდროს შევე-

რების მაგალითია. სწორედ ეს ახრჩობს დამპყრობელს და დღემდე ვერ მოუნელებია, — დასძინა პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილი რუსეთთან სავიზო რეჟიმის ცალმხრივად გაუქმების ინიციატივით გამოვიდა.

„ყველა რუსმა ბიზნესმენმა იცოდეს, რომ შეუძლია საქართველოში ჩამოსვლა, ფული ჩაიღებ, გაატანა, შემოტანა, ბიზნესის კეთება, წარმოების აწყობა, ხალხის დასაქმება და ისევე იქნება დაცული და შეძლებს თავისუფლად გადაადგილებას, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის წარმომადგენელი და მათთვის მაქსიმალურად ხელშემწყობი რეჟიმი იქნება. იცოდნენ რუსმა ტურისტებმა, რომ შეუძლიათ, ნებისმიერ დროს ჩამოვიდნენ საქართველოში, მიეფიცონ მზეს ჩვენს პლაჟებზე, ისარგებლონ ჩვენი სტუმართომოყვარებით და აქ მათ არავინ დაუშლის ასე მონატრებული „ბორჯომისა“ და ქართული ღვინის სმას, — განაცხადა სააკაშვილმა.

პრობლემა, რომელზეც პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა, დასაქმებაა. მისი თქმით, ხელისუფლება ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად ძალებს არ ზოგავს.

„მიმდინარეობს მოლაპარაკებები უამრავ უცხოელ ინვესტორთან, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ახალი ქალაქების, გზების და თუნდაც შადრევნების მშენებლობა ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის, რადგან საქართველოში ტურისტების და ინვესტორების იზიდავს. ყოველი მილიონი ტურისტი 15 ათას

მით, „საქართველოში ყველა სკოლა გერმანიის, პოლანდიის და მსოფლიოს სხვა წამყვანი ქვეყნების მოდელის შესაბამისი იქნება“. მიხეილ სააკაშვილის თქმით, წელს უკვე 100 სკოლაში გაიხსნება თანამედროვე კლასები, სკოლებს ექნება ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის უმაღლესი დონის ლაბორატორიები. პრეზიდენტის აზრით, განათლება საქართველოს წარმატებული მომავლის გასაღებია.

„ამიტომ მიიღებს ყველა პირველკლასელი და მათი დამრიგებელი პერსონალურ კომპიუტერს, ამიტომ ვზრდით მასწავლებლების ხელფასებს და ამიტომ ჩამოგვეყავს ინგლისური ენის ათასობით მასწავლებელი ამერიკიდან. მიზანი მარტივია — გვინდა, რომ ჩვენს შვილებს უკეთესი ცხოვრება ჰქონდეთ, უფრო დაცული და უფრო წარმატებული. გვინდა, რომ მათი ცოდნა ფასდებოდეს და ახალგაზრდები იოლად შოულობდნენ სამსახურს. ეს არის ნებისმიერი მშობლის ოცნება, ეს არის ჩვენი რეფორმების მიზანი, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილი აღნიშნავს, რომ წელს საქართველოს მასშტაბით პროფესიული გადამზადების პროგრამა ამოქმედდება. ასევე, 25 ათასი სტუდენტისთვის სპეციალური სტუდენტური სამუშაოები დაიწყება.

ქვეყნის პირველმა პირმა დაზღვეული მოქალაქეების რაოდენობის გაზრდაზეც ისაუბრა. მისი თქმით, მომავალი წელი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის მხრივ გარდამტეხი იქნება და ჯანმრთელობის დაზღვევა



სახელა. მისი განცხადებით, საქართველოს წარმატებულ მომავალს ყველა ძლიერ სოფელში ხედავს. ამიტომ საქართველოში 18 000 ჰექტარი მიწა მოირწყვება, 3 800 ჰექტარზე კი სადრენაჟე სისტემების სრული რეაბილიტირება მოხდება.

„2012 წელს მექანიზაციის 12 ახალი ცენტრი გაიხსნება, რომელთა მიზანი იქნება სოფლის მონასხელების მომსახურება და მათი ინფორმირება სოფლის მეურნეობის ყველა საკითხზე, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და დასძინა, რომ უახლოეს სამ კვირაში სახელმწიფო რამდენიმე ასეულ ახალ ტრაქტორს და 400 მისაბმელ აგრეგატს შეიძენს.

„ამ წლის 1 ივნისამდე მექანიზაციის ცენტრები ჯამურად აღიჭურვება 503 ერთეული ტრაქტორით, 50 კომბაინით, 1471 გუთნით და სხვა დამატებითი ხელსაწყოებით, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ დაინტერესებული ფერმერებისთვის ყველაფერი ხელმისაწვდომი იქნება.

„ამავე ცენტრებს მოსავლიანობის ცენტრის ფუნქციაც ექნებათ, რომლებიც ფერმერებს დაეხმარება და გადამზადებს. მათ ახალი ტექნოლოგიები უნდა აითვისონ და სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგ,

ტანენ, რა დროშიც ყავა მოაქვთ. ასეთი სისტემა მსოფლიოში არსად არის და გასკდეს გულზე, ვისაც შურს, — განაცხადა პრეზიდენტმა.

ქვეყნის პირველი პირის თქმით, მთელი საქართველო ერთიანი შენების ფრონტად უნდა გადაიქცეს. სააკაშვილის განცხადებით, საქართველოში მნიშვნელოვანი ინდუსტრიული და ურბანული ცენტრები უნდა შეიქმნას. ამიტომ არის მნიშვნელოვანი პარლამენტის ქუთაისში გადატანა და ლაზიკას მშენებლობა. პრეზიდენტი აცხადებს, რომ ლაზიკაში თავისუფალი ეკონომიკური ზონა იქნება, ლაზიკას თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ კანონპროექტს კი ფართო მონაშადებელი სამუშაოების შემდეგ პარლამენტში უახლოეს მომავალში შეიტანს.

„ჩვენ, მთელი საქართველო, მისი ყოველი ქალაქი, რაიონი და სოფელი თანაბრად უნდა ჩაერთოს ქვეყნის განვითარებაში. თუ ქვეყანა წინ მიდის, ეს ყველა უნდა იგრძნოს. ეს არის ერთადერთი საშუალება, საქართველო და თითოეული ქართველი წარმატების გამზიარებლად ვაქციოთ. ეს არის ერთადერთი მარშრუტი მომავლისკენ და არ არსებობს ძალა, რომელიც ამ გზიდან გადაგვხვევინებს, — აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.

3 პარტი — დღისასწრეული — 8 პარტი

ქალი და განათხულები...

ქალი და განათხულები... ქალი და განათხულები... ქალი და განათხულები...

ქალი და განათხულები... ქალი და განათხულები... ქალი და განათხულები...

ქალი

6. შალვაშვილი

იგი დგება, როგორც ხმალი, კლდესაც გასტეხს თუნდაც, მაგრამ ქალი ნაზია და მოფერება უნდა!

ქალი მარად ქალია და სილამაზე უნდა! შეეხებება დიდ უღელში მხარი მოსტყდეს თუნდაც, ქალი მაინც მეუღლეა და ოჯახი უნდა!



ნანა ქვარაია

სარეპორტაჟო ნორმისთვის რესპოდენტის არჩევაზე ვფიქრობდი. გზაზე ერთ მშვენიერ ახალგაზრდა ქალბატონს შევხვდი, ვთხოვე, რამდენიმე კითხვისათვის ეპასუხა.

ნანა ქვარაია ახალგაზრდა ქალბატონი ნანა ქვარაია ხობის №2 საჯარო სკოლის დირექტორია. ამასთან, სხვა არანაკლებ რთული მისიაც აკისრია, იგი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას ავალებს.

ნანა ქვარაია ახალგაზრდა ქალბატონი ნანა ქვარაია ხობის №2 საჯარო სკოლის დირექტორია. ამასთან, სხვა არანაკლებ რთული მისიაც აკისრია, იგი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას ავალებს.

ნანას ყოველდღიური საქმეებზე, შედეგებსა და ცვლილებებზეა ორიენტირებული... მუნიციპალიტეტში იგი გახლავთ სერთიფიცირებული მასწავლებელი, გამორჩეული სკოლის დირექტორი, ძალიან თბილი, კეთილი, სამართლიანი ქალბატონი, მოსიყვარულე დედა, და, მეგობარი...

ქალბატონო ნანა, მარტია, დე-

ღის და ქალის დღე, რა გრძობა გეუფლებათ ამ დღეებში?

მარტი, გაზაფხული, ჩვეულებრივ, ასოცირდება დასაწყისთან, იმედთან, სილამაზესთან. ის ქალივით ნაზი, ჭირვეული, მგრძობიარე, სათუთი და კეკლუცია, ამიტომ ამ დროს განსაკუთრებული ამაღლებული განწყობა გეუფლება.

რას ნიშნავს თქვენთვის სკოლა და საკრებულოს დეპუტატობა?

სკოლა ჩემთვის არის ის ადგილი, სადაც ვმუშაობ. ის ჩემი ნაცსა-

შემთხვევაში, სწორი გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობაა.

როგორია თქვენი იდეალი ქალი?

მართალი გითხრათ, ჩამოყალიბებული არ მაქვს ერთი, კონკრეტული შეხედულება იდეალურ ქალზე, თუმცა აბსოლუტურად ვეთანხმები იმ აზრს, რომ ყველა ქალი ღამაში და უნიკალური ქმნილებაა. არც მთელი დღე ოჯახში მოფუსფუსე და სადილების კეთებით დაღლილი ქალი მიმაჩნია იდეალურად, რადგანაც

უფრო მოულოდნელად გარდაიცვალა... და დარჩა, დარჩა, ნატვრა მარადის...

გაზაფხულივით მწვანეთვალეა ქალბატონი დღეს ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის დირექტორია. დიდა ამ ცენტრის სამოქმედო არეალი. მის კომპეტენციაში რამდენიმე სამსახური შედის ყველაზე დიდი საფიქრალი კი მისთვის ერთადერთი იმედი და სიყვარული ანა სერგიაა. მისი ცხოვრების უდიდესი გამოხატება.

ქალბატონო ხათუნა, რას ნიშ-



ხათუნა სორია

ხელისუფლება ატარებს და ხვალ საქართველოს გაერთიანებით დამთავრდება.

ბუნებოთ პესიმისტი არ ვარ. მიზნის მიღწევაში ჩემდამი კეთილისმყოფელი ყველა იმ ადამიანის დამოკიდებულება მუხმარება, რომლებიც ჩემი ყოველდღიურობისა და ცხოვრების ნაწილი არიან.

რა არის ის, რის ახდენაზე ოცნებობ?

არ ვოცნებობ. მჯერა, რომ საქართველო იქნება ერთიანი, რომ მომავალი თაობა ბედნიერად იცხოვრებს, ჩვენს შვილებს ყველა ნატვრა აუღდება...

წუხვარ, ამ საზეიმო განწყობის დროს მწარე მოგონებებს ვეხები, ძნელი იყო მეუღლის გარეშე მარტობის წლები?

წლები, დრო არაფერს ცვლის, ტკივილს არ ანელებს, ვერც აქრობს. უბრალოდ, წლებთან ერთად ის სხვადასხვა ხარისხს იძენს და სულში დარჩენილ იარაღს მოშუშების საშუალებას არ აძლევს.

რას იტყვით თქვენს სამსახურზე, რას უსურვებთ იქ მომუშავე ქალბატონებს?

განათლების ცენტრი ჩემთვის მეორე ოჯახია. თითოეული მათგანი ჩემთვის ახლო ადამიანია. იქ მომუშავეთა უმეტესს ნაწილს სწორედ ქალბატონები შეადგენენ.

ქალი, ზოგადად, ბედნიერებისათვის განიხილი ღვთის საუკეთესო ქმნილებაა, რომლის გარეშეც არასრული იქნებოდა სამყარო და მამაკაცთა მოდგმა, ამიტომაც მინდა ყველა ქალს ბედნიერება ვუსურვო.

ნავს თქვენთვის მარტი?

მარტი გაზაფხულის და სიმბოლურად სიცოცხლის დასაწყისია. როგორც ყველა ქალს, მეც მსიამოვნებს, რომ ის სამყაროს თითქმის სუსტ, მაგრამ უმშვენიერეს ნაწილთან ასოცირდება.

დღეობა ყველაზე ჰუმანური მისიაა, რაც თქვენ ძალიან ახალგაზრდას გერგოთ, რას გვეტყვი ამ ამაზე?

დღეობა მართლაც ჰუმანური და ღვთიური მისიაა. ქალი, როდესაც ამ ქვეყანას ევლინება, მასში პოტენციურად იგულისხმება დედა და ეს ყველაზე მაღალი ღირსებაა, წმინდა და განუმეორებელი. ბედნიერი ვარ, რომ ვარ დედა და ღმერთს მადლობა ამ ჯილდოსათვის.

რა გასულდგმულებთ, რა გაძლებთ ბრძოლის უინს, რომ ცხოვრებაში წარმატებას მიაღწიოთ?

ღვთის რწმენა. საქართველოს აღმშენებლობის და ძლიერების იმ კურსის იმედი, რომელსაც დღევანდელი

P.S. ჩემი ნანა და ხათუნა! როცა ამ საგაზეთო მასალაზე ფიქრი დაიწყე, არც კი გამხსენებია, რომ ორივენი სერგიების მეუღლეები იყავით, ორივენი ადრედაქვრივებულები. მე უდიდეს პატივს მოგაგებთ და წუხვარ თქვენი ტკივილების, ადრე შეწყვეტილი სიყვარულის გამო... რაც ჩემთვისაც მახლობელი და უდიდესი ტკივილია...

წერისას თქვენზე ცხოვრების უცნაური დამთხვევებიც აღმოვაჩინე, რომ ორივენი 23 წლისანი დაქორწინებულხართ, ორივენი სერგიებზე (ახლო ნათესავებიც იყვნენ თქვენი მეუღლეები), ორივენი მხოლოდ 12-12 წელი იყავით ბედნიერები მეუღლეებთან, დანარჩენი კი შვილებისთვის შევიწირით!..

ორივენი საქმიანი და გამორჩეული ქალბატონები ბრძანდებით. მინდა, ეს მარტი და ყველა წლის ყველა მარტი თქვენი უდიდესი ბედნიერების თვე ყოფილიყო.

იცოცხლეთ ტკივილად, ბედნიერად თქვენს შვილებთან ერთად. მუდამ ღამაში დღეების სიმრავლე, თბილი და ამაღლებული განწყობილება გაქონოთ. გილოცავთ ქალის და დედის დღეს!!! გამაღობთ გულახდილი საუბრისთვის.

ქალი — მარტი დედა...

ყუდელია, ეს ის ადგილია, სადაც ბოლომდე ვიზარდები, მაგრამ არ ვიღლები, რადგან უდიდესი ენერჯით მავსებს ის სითბო და სიყვარული, რასაც ჩემი მოსწავლეებისაგან ვიღებ... ბედნიერია ადამიანი, როცა მისთვის საყვარელ საქმეს აკეთებს. ამაში ნამდვილად გამიმართლა. რაც შეეხება იყო საკრებულოს დეპუტატი, ხალხის რჩეული, ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ შენი ცხოვრებით ვერ იცხოვრებს, პასუხისმგებლობა გაორმაგებულია. საკრებულოში ვარ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი, კომისია ამზადებს საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტებს და ასოცირდება ინიცირების წესის წარმოდგენილი პროექტების წინასწარ იურიდიულ ექსპერტიზას და დაინტერესებულ პირთათვის იურიდიულ კონსულტაციებს ეწვევა. ასორციელებს კონტროლს ადამიანის უფლებათა უზრუნველსაყოფად და შეიმუშავებს შესაბამის დასკვნებს. თავადაც მიხვდებით, რომ სამუშაო აქაც ბევრია...

როცა მარტი რჩებით, ან თუნდაც ძილის წინ, რა არის თქვენი საფიქრალი?

დატვირთული დღის რეჟიმის გამო, მარტი იშვიათად ვრჩები. თუმცა, როცა ვრჩები, აუცილებლად ვანალიზებ წარსულს, განვილი დღეს. უმრავლეს შემთხვევაში, საკუთარ თავს ძალიან კრიტიკულად ვაფასებ. ვცდილობ, ფიქრით ძალიან შორს არ წავიდე. ზედმეტად მეოცნებე არ ვარ. თუმცა, ისიც ვიცი, ფიქრი და საკუთარ თავთან დიალოგი, უმრავლეს

ქალი შეუცნობელი არსებია. იდეალური ქალი ჩემს წარმოდგენაში ითავსებს ისეთ ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებებს, როგორცაა: სუსტი და ძლიერი, დინჯი და ემოციური, ჭირვეული და გაწონასწორებული.

რას უსურვებთ დედებს, ქალებს?

ქალებს, ზოგადად, ვუსურვებდი ამ მშვენიერ სამყაროში უმშვენიერეს გრძობას—სიყვარულს და უძლიერესი განცდით ტკიპობას, რასაც დედაშვილობა ჰქვია.

მეორე რესპოდენტი ქალბატონი ხათუნა ხორავა ხობის მუნიციპალიტეტში თითქმის ყველასთვის ნაცნობი და მახლობელი ადამიანი გახლავთ. მუდამეპაშ მომდიმარი ქალი მართლაც უკეთილშობილესი პიროვნებაა. მას რაც არ უნდა უჭირდეს, აწუხებდეს, არასოდეს აგრძობინებს სხვას. შეუძლია ყველას სატკივარი ტკიოდეს და სიხარული უხაროდეს, დიდთან დიდი იყოს და პატარასთან პატარა...

კეთილშობილი ადამიანების გარემოცვაში დაბადდა და გაიზარდა იგი. სოფელ ქარიატაში ყველას ეიმედებოდა მათი ოჯახი. მამა და დედა, ეს ღამაში სულის ადამიანები, ადრეულ ასაკში გარდაიცვალნენ... თავად ხათუნამ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 23 წლისამ ოჯახი საჯარო სკოლაში მშვენიერ ახალგაზრდასთან—ალიოშა სერგაისთან შექმნა. ეს წლები იყო ბედნიერების, იმედების, ოცნებების წლები. პატარა ანის დაბადებამ უფრო გააძლიერა მათი სიყვარული და მომავალზე ფიქრი, მაგრამ... მხოლოდ 12 წელიწადი გაგრძელდა მათი თანაცხოვრება. მე-

ო ყ რ ფ ა

სოციალურად დაუცველი, მშობელთა მზრუნველობის მოკლებული, შშმ პირები, ძალადობის მსხვერპლი, მიუსაფარი ბავშვები და მოზარდები, მათ მომავალზე ფიქრი ყოველთვის იყო სახელმწიფოს ზრუნვის ობიექტი.

ბავშვთა სახლების მცირე საოჯახო ტიპის სახლებით ჩანაცვლებას, რომელთა რიცხვი 50-მდე გაიზარდა. სადაც იქნება ოჯახთან მიახლოებული თბილი, ალერსიანი და მზრუნველი გარემო.

გავიგე თუ რა არის მათი ძირითადი ფუნქცია, როგორ ხდება შევიდად აყვანა და მშვილვებელ ოჯახად დარეგისტრირება, რა განსხვავებაა მინდობით აღზრდასა და შევიდად აყვანას შორის, როგორ უნდა განხილვას მშობლები ოჯახი და რა არის მიმღები მშობლის უფლება-მოვალეობა, რა სტატუსისა და კატეგორიის ბავშვი ექვემდებარება შევიდად აყვანას, ვის შეუძლია მიმღები ოჯახი განტევა?

„ბავშვი სახლში და არა ბავშვთა სახლში!“



გადავიდა. ბავშვზე ზრუნვის სისტემაში ხორციელდება რეფორმა: „ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტი“, რომელსაც სოციალური მომსახურების სააგენტო ხელმძღვანელობს. ეს ცვლილებები ბავშვების ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას უწყობს ხელს.

შევამცირეთ ბავშვის ბავშვთა სახლში მოხვედრის რისკი, ბავშვზე ზრუნვის პოლიტიკა გულისხმობს ბავშვთა სახლის „ჭიშკრის ჩარაზვას“ (გეითიპინგი).

მოქმედებს პრინციპით: „ბავშვი სახლში და არა ბავშვთა სახლში“. მათი მიზანია პრევენციული ღონისძიებების გატარებით გააკმაღლოთ მოლოდინო ოჯახი, რათა მოგვაწოდოს: -ზობის მუნიციპალიტეტში დღემდე მშვილვებელ დარეგისტრირებულია 43 ოჯახი, საიდანაც (სამწუხაროდ) დაკმაყოფილდა 8 ოჯახი, ხოლო მიმღებ ოჯახად დარეგისტრირება მხოლოდ წელს დაიწყო.

ბავშვთა სახლები, პასუხობთ!

იურიდიული კონსულტაცია



ლელა შამათავა ტელ: 555 51-11-74

არაერთი აღამიანი მოზმართავს მიმპვიდრობას-ნაზის გაყოფასთან დაკავშირებით და ღღუნ ბინდა ამ საპითხთან დაკავშირებით მათ მიერ დასმულ რამდენიმე შეკითხვას ვუპასუხოთ.

ვინ შეიძლება ჩაითვალოს მემკვიდრედ და ვის შეიძლება წარმოუშვას მემკვიდრეობის უფლება?

მემკვიდრეობის უფლება პირს შეიძლება წარმოუშვას, როგორც კანონის, ასევე ანდერძის საფუძველზე, ორივე შემთხვევაში ესენი შეიძლება იყვნენ ის პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრების სიკვდილის მომენტისათვის, ამასთან კანონით მემკვიდრეობის დროს - მამკვიდრების შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან, ხოლო ანდერძით მემკვიდრეობის ის პირები, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა.

ნონით მემკვიდრეობად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრების მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა.

მესამე რიგის მემკვიდრეები არიან: ბებია და პაპა, ბებუის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებუის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეობად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან.

მეოთხე რიგის მემკვიდრეებს კანონი მიაკუთვნებს ბიძებს (დედის ძმა და მამის ძმა), დედებს და მამიდებს.

ხოლო მეხუთე რიგის მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან: ბიძაშვილები, დედაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელი არ არიან, მაშინ მათი შვილები.

კანონი გამორიცხავს წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში შემდგომ რიგის მემკვიდრის უფლებას.

განქორწინებული მეუღლეები სარგებლობენ თუ არა კანონით მემკვიდრეობის უფლებით?

გარდაცვალების შემდეგ კანონით ერთმანეთის მემკვიდრეობის უფლებით არ სარგებლობენ განქორწინებული მეუღლეები.

ვინ შეიძლება შეადგინოს ანდერძი?

ანდერძი ადგენს სრულწლოვანი და ქმედუნარიანი მოანდერძე პირად, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტისთვის შეუძლია გონივრულად განსჯას საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. ერთობლივი ანდერძი შეიძლება შედგეს მეუღლეების მიერ, რომელიც შეიძლება გაუქმდეს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით, მაგრამ - ჯერ კიდევ ორივე მეუღლის სიცოცხლეში.

გთხოვთ, განვიმარტოთ ანდერძის შედგენის ფორმების შესახებ?

ანდერძი დგება წერილობითი ფორმით, არსებობს როგორც სანოტარო წესით შედგენილი, ასევე შინაურული ანდერძი. სანოტარო წესით შედგენილი ანდერძი ხელმოწერილუნდა იქნეს მოანდერძის და დადასტურებული ნოტარიუსის მიერ, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის ეს უფლებამოსილება მინიჭებული აქვს თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოს, კერძოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს - რწმუნებულს. პირის ამა თუ იმ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ანდერძის შედგენისას ნოტარიუსთან გათანაბრებული პირები არიან: ა) საავადმყოფოს, ჰოსპიტლისა და სხვა სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმი, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის დირექტორი ან

გვწერენ

თანადგომისათვის გეგმავთ

ძვირფასო რედაქცია! გვინდა თქვენი გაზეთის საშუალებით უდიდესი მადლიერება გამოვხატოთ ხელისუფლების მისამართით. შეიძლება შეძლებული ოჯახებისთვის ბევრს არ ნიშნავდეს, მაგრამ პრეზიდენტის საჩუქარმა ელექტრო ენერჯის ვაუჩერმა, ძალიან გაგვახარა. ეს თანხა, ალბათ, ჩვენ აპირლშიც დაგვიფარავს ელექტროენერჯის საფასურს.

მადლობა ბატონო გოგა, დახმარებისთვის, გვინდა ვისურვოთ წარმატებები პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გამგებლის ინიციატივით ქალაქის 70-მდე შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ აღამიანს შემა დაგვირიგდა.

7

შუა ხორვა; გაღმა შუა ხორვა; ყორათი);
 ო) სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ჭალადიდის თემში (სოფლები: საბაჟო; საქორქიო; საღვამიანო; საჭოჭო);
 პ) სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ხამისკურის თემში (სოფლები: ხამისკური, საკუკავო, საქირიო);
 ყ) სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ხეთის თემში (სოფლები: ხეთა, ლარჩვა, ნოჩხონი, ოხვამეკარი, წინაგოლა);
 რ) სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ პატარა ფოთში;
 ს) სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ პირველ ხორვაში (სოფელი გამოღმა პირველი ხორვა);
 ტ) სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ საგვიჩოში;
 უ) სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ ყულევში;
 ფ) სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ შაველეში.
 ქ) სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ ძველ ხიზულაში.
 3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილებები განისაზღვრება შესაბამისი ტიპური დებულებით, რომლის პროექტს შემუშავებს გამგებელი და წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს მიერ დამტკიცების მიზნით.“;
 ყ) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გამგებობის საჯარო მოსამსახურეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული გამგებობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებითა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს დებულებით, აგრეთვე საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით.“
 რ) მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „3. გამგებელი ბრძანებას გამოსცემს გამგებლის მოადგილის (მოადგილეების), გამგებობის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების, გამგებობის სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშნვისა და თანამდებობიდან განთავისუფლების, აგრეთვე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.“
 2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე
ამაშუპა ჭოსონელიძე

სობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
დადგენილება N4

2012 წლის 7 თებერვალი ქ. სობი

„სობის მუნიციპალიტეტის გამგებობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“ სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
 „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. სობის მუნიციპალიტეტის გამგებობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“ სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N32 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, 110307110, 21.03.2011 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.106.016025) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
 ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ“;
 ბ) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების დებულება“ თანახმად დანართისა.“;
 გ) დადგენილების დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების დებულება“;
 დ) დადგენილების დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო (შემდგომში - „ტერიტორიული ორგანო“) უზრუნველყოფს საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებების აღსრულებას, საკრებულოსა და გამგებობის ურთიერთობას მოსახლეობასთან, ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას“;
 ე) დადგენილების დანართის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „1. ტერიტორიული ორგანო შედგება ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის-სობის მუნიციპალიტეტის რწმუნებულისა (შემდგომში - „რწმუნებული“) და ტერიტორიული ორგანოს მოხელეებისგან.“
 2. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას წარმართავს რწმუნებული, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნ-

ქციები განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, გამგებობის დებულებით, ამ დებულებითა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციით“;
 ე) დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „2. დასახლებულ პუნქტში, სადაც სანოტარო ბიურო არ არის, რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს შემდეგი სანოტარო მოქმედებები:
 ა) დაადასტუროს ანდერძი;
 ბ) მიიღოს ზომები სამედიკინო ქონების დასაცავად;
 გ) დაამოწმოს დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის სისწორე დედანთან;
 დ) გადასცეს პირის განცხადება და ცნობა სხვა პირს;
 ე) დაადასტუროს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტი;
 ვ) დაადასტუროს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტი;
 ზ) შესანახად მიიღოს დოკუმენტები;
 თ) დაადასტუროს მოქალაქის იგივეობა ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;
 ი) დაამოწმოს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობა.“
 3. რწმუნებულს ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი სანოტარო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სანოტარო მოქმედებაზე, თუ მოქალაქის იგივეობის დადასტურება ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან ხდება შემდგომ მასზე მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემის მიზნით.“;
 ზ) დადგენილების დანართის მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „მუხლი 12. ტერიტორიული ორგანოს მართვა
 1 ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას უძღვევა რწმუნებული, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი „საჯარო მოსამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
 2. რწმუნებული კანონმდებლობით დადგენილი წესით:
 ა) წარმართავს ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას და პასუხისმგებელია ტერიტორიული ორგანოს მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
 ბ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს ტერიტორიული ორგანოს თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;
 გ) ანაწილებს ფუნქციებს მოსამსახურეთა შორის;
 დ) ქმნის ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად აუცილებელ პირობებს;
 ე) წარუდგენს გამგებელს წინადადებებს მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;
 ვ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს ტერიტორიული ორგანოს მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;
 ზ) ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, გამგებობის დებულებით, ამ დებულებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებით, გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
 თ) რწმუნებულის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას გამგებლის დავალებით ასრულებს ტერიტორიული ორგანოს ერთ-ერთი მოხელე“.

საკრებულოს თავმჯდომარე
ამაშუპა ჭოსონელიძე

სობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
დადგენილება N5

2012 წლის 7 თებერვალი ქ. სობი

„სობის მუნიციპალიტეტის გამგებობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის-გამგებობის რწმუნებულის ბეჭდის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 28 ოქტომბრის N134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
 „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:
